საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი მეორე

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 2 პარასკევი, 3 იანვარი, 1919 წ. № 2

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით—10 მ.

ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ა. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

სადღესასწაულო რეპერტუარი.

დილით, შაბათს, 4 იანვარს, 1919 წ.

1. შვიდი თიკანი. 2. წითელი ქუდი. 3. ბალეტი.

პოლოველების ბანაკი ოპერა „იგორიდან“.

საღამოს—საბანეევას, ზალიპსკის, მოროზოვის, ნიკოლსკის მონაწილეობით

ჰოფმანის ზღაპრები.

კვირას, 5 იანვარს დილით 1. „პაიაცები“ შულგინას, მარკოვას, პოლიაევის, ინაევის მონაწილეობით. 2. ქორწილი მალოროსიაში. საღამოს—რეჟისორ ბელსკის ბენეფისი. საბანეევას, ალეშკოს, მოროზოვის, კანშინის, ვრონსკის, ნიკოლსკისა და ისეცკის მონაწილეობით „ჰუგენოტები“.

2—1

გამოვიდა და იყიდება

ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნი

„მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში“.

1242 2—2

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

იუსტიციის სამინისტროს უწყებისადმი.

27 დეკემბერი, 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 59.

განთავისუფლებულია: თანამდებობის ასრულებიდან თანახმად თავისის თხოვნისა და რესპუბლიკის მთავრობის 1918 წ. ნოემბრის 30-ის დადგენილებისა, ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი ისაი მარკოზის ძე დოლუხანოვი.

ინიშნება: ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ანტონ სტეფანეს ძე გელაზარიშვილი ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორად და ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი გიორგი კონსტანტინეს ძე ხარაზაშვილი იმავე სასამართლოს პროკურორად.

30 დეკემბერი, 1918 წ.

№ 60.

ინიშნება: სრულიად საქართველოს საკათოლიკოზო სასამართლოს საქმის მწარმოებელი მიხეილ მათეს ძე მონასელიძე სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად.

მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.
იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს.

23 დეკემბერი, 1918 წ.

№ 275.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ა. გ. გურკო ინიშნება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტარო განყოფილების კონსულტანტად.

23 დეკემბერი 1918 წ.

№ 276.

მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი მედიცინის ექიმი ს. ს. ვირსალაძე—ინიშნება აღნიშნულ საავადმყოფოს მთავარ ექიმათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილი.

შინაგან საქმეთა მინისტრის გ. ნოე რამიშვილის სიტყვა

პარლამენტში სომეხთა მიერ შეკითხვის საპასუხოთ.

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! დღევანდელი მომენტში განსაკუთრებით საჭიროა ერთი რამის აშკარად აღიარება, აღიარება იმ ფაქტებისა, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არც ერთ ერს არ სდევნის, და არასოდეს, ამ დევნას ვერ აწარმოებს? (ტაში). მე მეტს ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ წრეებში წარმოუდგენელ ენერგიით აწარმოებენ ამ ბრძოლას, კერძოთ ზომების წინააღმდეგ, მე უნდა ვსთქვა აქ, რომ სომხებს, რომლებიც ჩვენ ტერიტორიაზედ ცხოვრობენ როგორც ერს, ამისთვის არავითარი საბუთი არ მოუტანიათ. (ივანოვი ადგილიდან: შულავერი, სამხედრო მინისტრის ცნობა?) უკაცრავად, სამხედრო მინისტრის ცნობა, მე თქვენზე ადრე გავიგედა, უნდა მოგახსენოთ, რომ, მიუხედავათ იმისა, რომ ერთი ნაწილი საზოგადოებისა ძალიან ცხაროზბს, და ჩქარობს, იმიტომ რომ, მათ უნდათ ისარგებლონ იმ არევ-დარევით,—სულ სხვა მიზნით, ალბათ. ისინი ანგარიშს არ უწევენ აშკარა ფაქტებს. თქვენ თხოულობთ ფაქტებს. აი ფაქტები. ახალციხის მაზრაში (ხმები: იქ მაყაშვილი იყო! ვერ მოასწრეს!) უკაცრავათ, მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! ეს მართალია, ვერ მოასწრეს. დიალ ერთმა პარტიამ, ყოველ შემთხვევაში მისმა მოზდილმა ჯგუფმა, მართლაც, ვერ მოასწრეს იქ თვისი შხამის დათესვა. ახალქალაქის მაზრაში, როცა იქ გაემგზავრა მაყაშვილი, ჩვენ ვეუბნებოდით: ყველა ლტოლვილები, განურჩევლად ეროვნებისა თანასწორნი უნდა იყვნენ თვისი უფლებებით! (ვეშაპელი: ქრისტესავით?) დიაღ—ქრისტესავით! ვინაიდან, ქრისტეს მოძღვრება, ის, რაც მართლაც შეადგენს საკაცობრიო მოძღვრებას,—იმას მტკიცედ ვადგევართ, და შემდეგშიაც ამ გზას არ გადუხვევთ (ტაში). მე ვამბობ, რომ იქ ვერ მოასწრეს ნაციონალისტური შხამის დანთხევა. იქ იკრიბებოდნენ ზოგიერთი პირები, მსგავსად გასული წლისა როცა გამოიწვიეს სომხების და ყველა ერების დალუპვა. მაგრამ, ის ზომები რომელიც მთავრობამ მიიღო, მათ არ მისცა საშუალება, იქ თავის პოლიტიკა—ნაციონალურ შხამის დანთხევა—ეწარმოებინათ. იმიტომ მთელი ის კუთხე დარჩა ლოიალური, ვინაიდან ხედავდა, რომ დემოკრატია, საქართველოს დემოკრატია, არ არჩევს ელინსა და ებრაელს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე ლოიალური იქნება შემდეგშიაც.

შეიძლება თქვენ კიდევ გნებავთ დანარჩენი კუთხეები ჩამოვთვალო? (ხმა: ვერ მოასწრეს!) დიალ, ვერ მოასწრეს, ე. ი. თქვენ, ბ. კედია მგონია, ამითი თითონ ადასტურებთ იმ დებულებას, რომელიც მე აქ წამოვაყენე (კედია: მე არ გახლდით!) დიაღ მთელი ქუთაისის გუბერნიაში, ტფილისის გუბერნიის, უმთავრეს ადგილებში სომხის ხალხი ლოიალური დარჩა, ვინაიდან ხალხი, როგორც ასეთი, მუდამ ლოიალური არის. (დავითხანოვი: ტფილისში ლოიალური არ იყვნენ?) მაგრამ, ჩვენი მთავრობა, დარწმუნებულია... (ავეტისიანი: ეს საქმეს არ ეხება!) მოითმინეთ, ბ-ნო ავეტისიანო, და გაიგებთ რაშია საქე (ვეშაპელი; რაშია საქმე?!) მიუხედავად იმისა, მე ვამბობ, რომ ხალხი, როგორც ასეთი ლოიალური იყო, და არის. და მიუხედავად ამისა, ჩვენ ვიცით, გვაქვს საბუთი, ახალ საბუთებს კი შემდეგში მივიღებთ,—რომ ერთი ნაწილი სომხის ერისა, რომელიც აქ სცხოვრობს, მე ვამბობ დაშნაკელთა პარტია, ყოველ შემთხვევაში, მისი საგრძნობელი ნაწილი, აქ, არა ლოიალურად მოქმედებს.

ის სცდილობს, მგზავსად იმისა, როგორც იქ, ერევანში აწარმოებდა ავანტიურას, რომლითაც უნდა დაემხო დამოუკიდებლობა საქართველოში, და ამიერ კავკასიის რესპუბლიკებისა, სწორედ ამისთანავე პოლიტიკას აწარმოებდა ჩვენშიც (დავიდხანოვი: ფაქტები და სახელები?) თქვენ სახელებსაც გაიგებთ და ფაქტებსაც მიიღებთ (მხურვ. ტაში) (დავიდხანოვი. ველით?) თქვენ გინდათ ფაქტები, არა? მე არ მიმაჩნია საჭიროდ, დღეს, როცა გამოძიება არ დამთავრებულა,—აქ სახელებზე მივუთითო, მაგრამ მე ვიტყვი, ალბათ თქვენც იცით ბ. დავითხანოვო, (დავით.: არ ვიცი). როცა ჯარი შევიდა შულავერში, იქ გამოგვიცხადეს ჩვენ: ოღონდ ჩვენ წინააღმდეგ ნუ მიიღებთ სასტიკ ზომებს,—კიდევ მეტი ოღონდ ნუ დაგვხრეტთ, და დაგისახელებთ ყველა იმ პირთ, რომელნიც აქ ტფილისიდან მოდიოდნენ, (დავითხან: სახელები!) და აჯანყებას იწვევდნენ. (სახელები, ფაქტები,) ბ. ავეტისიანცს უკვირს, ფაქტებს ეძებს! განა დაგეთ-ხაჩინი ფაქტი არ არის? (დავითხანოვი: ეს სოფელი არის!) დიახ, დაგეთხაჩინი სოფელი არის. იქ რომ ყოფილიყო რეგულიარული ჯარი, მე ვიტყოდი კიდევ, რომ აქ გადამეტებას აქვს ადგილი. მე საერთოდ ყოველთვის შესაძლოთ მიმაჩნია ერთი რამ: რომ რეგულიარული ჯარი ზოგიერთ შემთხვევაში, გადაამეტებს თავის უფლებებს. როცა ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ სანაინის რაიონში ძარცვა-გლეჯა ხდებოდა,—მე არ გამიკვირდა. მაგრამ, როცა ეკატერინენფელდის რაიონზე ლაპარაკობენ—იქ ხომ სახალხო ვარდია იყო? ეკატერინენფელდში სწორედ სახალხო გვარდია იბრძოდა, და ამ დროს უკან მოაწყვეს აჯანყება. მე გეკითხებით თქვენ: რისთვის აჯანყეს ეს ხალხი? ის ნადავლი, რომელიც წამოვიღეთ, ის თხრილები, რომელიც ავიღეთ... (დაშნაკელები რა შუაში არიან, სახელები გვითხარით!) დაშნაკლები რა შუაში არიან გაიგებთ რამდენიმე დღის შემდეგ. (მხურვ. ტაში). ჯერ აჩქარება საჭირო არ არის, ჩვენ არ გვიყვარს აჩქარება. (დავითხანოვი: აჭუსალებთ.?) უკაცრავად! როცა ძეგვის ხიდზე აქ ლაპარაკობდნენ, არც ერთ დაშნაკელს ხელი არ გაუნძრევია, მაგრამ ეხლა გამოირკვა და თქვენ ამას ვერ უარყოფთ, (დავითხანოვი: სახელები!) რომ კოუჩერიანცი იყო დაშნაკელი.

(თავმჯდომარე. ბ. დავითხანოვო! შენიშვნას გაძლევთ, გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე!). მე უნდა გითხრათ, რომ ბ. ავეტისიანცს, და დავითხანიანს ძალიან სურთ სახელების გამოცხადება დღეს, როცა გამოძიება არ დამთავრებულა, და ჩვენ მოღალატეებს ვეძებთ, ვინაიდან, ბევრი მათგანი, აქ იმყოფებიან (მხურვალე ტაში) იმყოფებიან აქ ტფილისში. მეთქი. (ვეშაპელი: აქაც!?) უკაცრავად, პარლამენტში მე არ მითქვამს. მე ვამბობ, რომ, როცა გამოძიება არ არის დამთავრებული—ლაპარაკი სახელებზე ყოვლად შეუძლებელი საქმეა. ამიტომაც, ჩვენ ერთი რამ უნდა ვთქვათ: ჩვენ ვიცით, რომ სომხის ერი, როგორც ასეთი, იყო ლოიალური. მაგრამ, ვიცით ისიც, რომ დაშნ. პარტიამ, რომელმაც გამოიწვია ეს ავანტიურა, ისეთივე ავანტიურისტული ქსელი, თუ მთელმა პარტიამ არა, მე ამის შესახებ არ ვამბობ გადაჭრით,—მაგრამ, ყოველ შემთხვევაში მისმა ნაწილმა და წარმომადგენლებმა ეს ავანტიურისტული ქსელი აქაც გააბეს, და მე ხელთ მაქვს, მოქალაქენო, ზოგიერთი საბუთები ამის დასამტკიცებლად. მაგრამ, შემდეგში გვექნება შემთხვევა ეს საბუთები პარლამენტს გავაცნოთ. მე ვამბობ, ასეთ დროს, როცა აქ შემოაქვთ შეკითხვა, მე მართლა გითხრათ, ეს შეკითხვა პირდაპირ მაკვირვებს. აქ ლაპარაკობდნენ ეროვნულ საბჭოს შესახებ. მე უნდა განვაცხადო, რომ ეროვნული საბჭო, როგორც ასეთი, ისიც ლოალური იყო (მაჩაბელი: სუყველანი წმინდანნი ყოფილან!) სომხის ეროვნული საბჭო საქართველოში, როგორც ასეთი, ლოიალური არის. (ვეშაპელი: შეუძლებელია!) მე უნდა ვთქვა, როცა აქ ბ. ფირუმოვმა განაცხადა, რომ მათ სურდათ ამ კონფლიქტის თავიდანვე ჩაქრობა, ეს სავსებით სიმართლეს შეეფერება; მართლა, სწორედ, როცა ეს სამწუხარო ამბავი დაიწყო, და ჩვენ მივიღეთ დადგენილება, სრულიად დამოუკიდებლად ამ დადგენილებისა, მათაც გამოიტანეს ასეთივე დადგენილება და მიიღეს ჩვენთან ერთად ზომები, რომ ეს უმნიშვნელო ინციდენტი თავისთავად, უდიდეს უბედურებად არ დასტეხოდა თავს ორივე ერს. მაგრამ, როდესაც აქ გამოდიან, და ამბობენ, რომ მთავრობის განცხადება ერთნაირ გაუგებრობას იწვევს,—ეს ჩვენ სრულიად არ გვესმის. იქ ნათქვამი იყო:

„ეროვნულ საბჭოს და დიპლომატიური მისიის სადგომში ხდებოდა სომხეთის ჯარში ჩაწერაო“.

და ჩვენ აშკარად, და გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ხდებოდა ჯარში ჩაწერა, და ხდებოდა არა მარტო აქ, ქალაქ ტფილისში. აი ბატონებო, გუშინ ჩვენ როცა უნდა გაგ-

ვეგზავნა ერთი ახალი პარტია სამხედრო ტყვეებისა, იქ გამოირკვა, რომ არა თუ შულავერის მცხოვრებნი, რომელნიც ჩვენ წინაალმდეგ იბძოდნენ, სამხედრო ტყვეთა შორის, ჩვენ აღმოვაჩინეთ თელავის მცხოვრები. ის როგორც ჩვენი მოქალაქე, როგორც მოღალატე გავგზავნეთ მეტეხის ციხეში, და თქვენ გონიათ, რომ ეს ხდება მარტო თელავში, და ხდება მარტო ტფილისში. ასეთივე ზომები იყო მიღებული სხვა ადგილებშიაც სრულიად დამოუკიდებლად. კიდევ უფრო ადრე, მივიღეთ ცნობები, რომ რუსეთშიაც სწარმოებდა მობილიზაცია სომხეთის ჯარის შესავსებათ. სწორედ ჩვეულებრივი მობილიზაცია სწარმოებდა უკრაინაში, და ყუბანის ოლქში... (ვეშაპელი: „არ იციან“).... მე ვამბობ, ეროვნული საბჭო როგორც ასეთი არაფერ შუაშია. მე მეტს ვიტყვი, არავითარი საბუთი არა გვაქვს ჩვენ, მთავრობას, და არც ვფიქრობთ რომ ამ საქმეში დამნაშავენი იყვნენ პარტიები, სოციალ-დემოკრატიისა—სოციალ-რევოლიუციონერთა, და სომეხთა სახალხო პარტია, მაგრამ რაც შეეხება დაშნაკელების პარტიას აქ ტყუილად სცდილობენ ისე მოგვაჩვენონ საქმე თითქოს არავინ არაფერი იცოდა, მით უმეტეს მას შემდეგ მოხდა შულავერში, ხოლო შულავერის აჯანყება მოწყობილი იყო სწორეთ ტფილისიდან... (ხმები: „მართალია, სრული ჭეშმარიტებაა„).

აი მაშინ, როცა გამოირკვა რომ ეროვნულ საბჭოს წევრებთა, დიდი ნაწილი უდანაშაულოა, მაგრამ მათ ვერ შესძლეს თავისი საბჭო დაეცვათ პროვოკაციისაგან—როცა ეს მთავრობამ აშკარად შეიგნო, ამ ეროვნულ საბჭოს დროებით შეჩერება აუცილებლათ სცნო... (ვეშაპელი-ერევანში გადვიდნენ). (ხმა-სამუდამოდ)... მე უნდა განვაცხადო, რომ სამუდამო შეწყვეტაზე ჩვენ ლაპარაკი არ გვქონია. პირიქით ჩვენ ვამბობთ და თავიდანვე ვამბობდით ისეთ ორგანოს, რომელიც ლტოლვილებთა საქმის ნაწილს უძღვება, შეუძლიან მოქმედება, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებთა გამო ეს არ მოხდა. ეხლა კი ეროვნულ საბჭოს განყოფილება, ლტოლვილთა განყოფილება, იარსებებს, და აგრეთვე იმოქმედებს პრეზიდიუმი ეროვნული საბჭოსი, რომელიც მე დარწმუნებული ვარ ამ ლოიალობას არაოდეს არ გადუხვევს... (ვეშაპელი ფრონტს გაამაგრებს).

ფრონტის გამაგრებაზე ჩვენ ვაგებთ პასუხს, თქვენ ნუ აჩქარდებით.

აქ ფირუმოვმა რამდენიმე ფაქტი მოიყვანა, სადაც ის ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მართლაც მთავრობამ გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელნიც თითქოს მიმართული იყვნენ მთელი სომხის ერის წინაალმდეგ. ერთი ასეთი ფაქტი მოიყვანა, რომ პარლამენტის წევრი ზორიანი დაპატიმრებული იქმნა. მე უნდა განვაცხადო აქ რომ როცა ჩვენ ეს გავიგეთ, როცა გავიგეთ, რომ ბ. ზორიანი დაპატიმრებულია მაშინვე მოავრობამ გასცა ბრძანება მის განთავისუფლებისა. აქ ლაპარაკი იყო გაზეთების დახურვის შესახებ. დიახ, აქ უნდა განვაცხადო აშკარად: ფირუმოვმა და ამ შეკითხვის ავტორებმა უთუოთ იციან, რომ როცა ომს ვაწარმოებთ, და როცა ყველასათვის აშკარაა, რომ ეს ომი გამოიწვია სწორედ დაშნაკელების პარტიამ, გარდა ამისა, როცა ადგილობრივმა ორგანიზაციამ დაშნაკელების პარტიისა, კითხვა დააყენა ისე, როგორც შეეფერება ერევნის მთავრობის ინტერესებს და საქართველოს მთავრობის ინტერესების წინაალმდეგ, მაშინ კითხვა დაისვა: ან ეს მთავრობა დაიცავს დემოკრატიის ინტერესებს, ალაგმავს ყოველგვარ პროვოკაციულ გამოსვლას, და მაშასადამე ამ გაზეთების გამოსვლას ბოლოს მოუღებს, ან არა და ის განაცხადებს საქვეყნოთ, რომ ის ქედს იხრის დაშნაკცაკანების წინაშე, და მაშასადამე ამ დაშნაკცაკანების პარტიას ან ცვალებს დემოკრატიის ინტერესებს. უკაცრავათ, რომ ჩვენ ამ მეორე გზით წასვლა არ შეგვიძლიან. (ტაში). არ შეგვიძლიან მით უფრო, რომ ჩვენი დემოკრატიის გამარჯვება არის იმავე დროს გამარჯვება სომხის დემოკრატიისა (ტაში). ალაგმვა ამ ავანტიურისტულ პარტიისა, მისთვის ფეხ-ქვეშ ნიადაგის გამოცლა, რომლის სათავე არის იქ, ერევანში, ეს იქნება საუკეთესო სამსახური სომხის დემოკრატიისა... (ვეშაპელი: თქვენ რომელ დემოკრატიის მინის-ტრი ხართ?) ყოველ შემთხვევაში მე თავის თავს არ ვრაცხ ვეშაპელის ინტერესების წარმომადგენლათ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობაში: (მხურვალე ტაში მარცხნივ). აქ იყო ნათქვამი მილიციონერების დათხოვნის შესახებ. მე უნდა მოგახსენოთ, რომ მილიციონერების დათხოვნა მოხდა, მაგრამ სრულიად არა იმ სახით, როგორც ფირუმოვმა აღნიშნა. დათხოვნილნი იყვნენ სომხის რესპუბლიკის ქვეშევრდომები; შეიძლება თვითეულ შემთხვევაში მოხდა რაიმე გადახვევა, მაგრამ დღეს რომ მილიციაში მსახურობენ სომხები, ეს ყველას მოეხსენება—მოეხსენება—ფირუმოვსაც, ამიტომ მისი განცხადება ამ მხრივ არ შეესაბამება სინამდვილეს. შემდეგ, აქ იყო ნათქვამი, თითქოს რკინის გზაზე და სხვა უწყებებში დათხოვნილი იყვნენ სომეხი მუშები. თუ ასეთი ცნობებით გამოდიან აქ, ეს იმას ამტკიცებს, რომ საერთოთ შეკითხვის ავტორთა საინფორმაციო წყარო საეჭვო ღირსებისაა. მე უნდა განვაცხადო რკინის გზის შესახებ. იყო მართლა ასეთი განცხადება ღენერალ-გუბერნატორის ყარალაშვილისა, მაგრამ მთავრობამ მაშინვე მიიღო ზომები, ეს განცხადება შეჩერებული იქმნა, მას შემდეგ ყველა მუშები..... (ვეშაპელი:—მაშინისტებიცა) დიახ, მაშინისტებიც.... (ვეშაპელი: ფრონტს ამაგრებენ)... გარდა იმ მუშებისა, რომლებიც როგორც სამხედრო ტყვეები გაგზავნილ უნდა იქმნენ ქუთაისში, ყველა ისინი თავიანთ ადგილებზე რჩებიან. მე მეტს ვიტყვი კიდევ, ამ მხრივ როგორც თქვენ ამას გაიგებთ, შრომის მინისტრის ამხანაგის ინსტრუქციისაგან დიდი შეღავათი მიეცათ მუშათა ორგანიზაციებს. აი მაგალითად:—მესამე მუხლი იმ ინსტრუქციისა:—„მუშა სომხები, როგორც საქართველოს, აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომები, რომელთა თავდებობას კისრულობენ პროფესიონალური კავშირები ან მუშათა პარტია, თავიანთ ადგილებზე რჩებიან“. შემდეგ რაც შეეხება დანარჩენ მუშებს, რომელნიც ასეთ თავდებობას არ იკისრებენ ისინი, მართლაც შეიძლება დათხოვნილ იქმნენ. უნდა განვაცხადო, აშკარად არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა როცა მუშების ორგანიზაციების სურვილისათვის ანგარიში არ გაეწიოთ. (მაჩაბელი: რა შუაშია აქ მუშათა ორგანიზაცია?). მუშების ორგანიზაციებს ბ. მაჩაბელო სწორედ იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ეს საქმე მათ ეხებათ, ეს არის მათი პროფესიონალური საქმე. და საკითხის ასე დასმას მოითხოვს ინტერესი როგორც საქართველოსი, აგრეთვე სომხის დემოკრატიისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ომი სწარმოებს (ვეშაპელი: რასაკვირველია) ყოველ შემთხვევაში ეს ომი სწარმოებს ორ ერთა შორის, არამედ ომი მიმართულია, როგორც აქ მთავრობის თავმჯდომარემ გამოაცხადა, ამ ავანტიურისტულ პოლიტიკის და მათი მეთაურების წინაალმდეგ, რომელნიც ამ ჟამად ერევანში ბატონობენ (ვეშაპელი: ეს ავანტიურისტები, რომელ ნაციისა არიან?). ჩვენ დაგვრჩა ერთი დიდი ბრალდება, რომელიც აქ იყო წამოყენებული. აქ ამბობდნენ, რომ საერთოდ ატუსაღებენ და ქუთაისში გზავნიან ყოველ სომეხსო. მე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დებულების დასამტკიცებლად ორიოდე, სამიოდე ფაქტიც ვერ მოიყვანეს, მიუხედავად იმისა, რომ როცა ომი სწარმოებს, ყოველთვის შესაძლებელია რამოდენიმე შეცდომა. ჩვენ ძალა უნებურად მივიღეთ ამნაირი ზომები სომხეთის ქვეშევრდომთა წინაალმდეგ. მით უმეტეს, რომ გვაქვს უტყუარი საბუთები იმისა, რომ აქ წორედ სწარმოებს ჯარში გაწვევა და მათ ნაწილ-ნაწილათ სხვა და სხვა გზით გზავნიდენ. ჩვენ იძულებულნი ვიყავით, რომ ასეთი პოლიტიკისთვის ნიადაგი გამოგვეცალა და მით მოგვეახლოვებინა დღე ერევნის მთავრობის დამარცხებისა. ჩვენ იძულებული ვიყავით, ასეთი ნაბიჯი გადაგვედგა, მით უფრო, რომ არავისთვის საიდუმლოს არ შეადგენდა, რომ დაშნაკელთა პარტიას აქ ჰყავდა საკმაოდ ძლიერი რაზმი და მწარე გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ თუ კი შესაძლებელი იქნებოდა სომხის ერის წინ წამოწევა, ისინი ყოველთვის მიზნად დაისახავენ ზურგის უკან არევ-დარევის გამოწვევას და დემოკრატიის წინაალმდეგ ამბოხების მოწყობას. ამიტომ იყო, რომ ჩვენმა მთავრობამ დადგენილება გამოიტანა, და ეს ასე სრულდება. შეიძლება მართლაც არის ისეთი შემთხვევები, როცა აპატიმრებენ ჩვენ ქვეშევრდომებს. შეიძლება არის ისეთი შემთხვევები, როცა დაბალი მოხელეები, ბოროტ-მოქმედებასაც სჩადიან. ჩვენ ამის წინაალმდეგ მივიღეთ უსასტიკესი ზომები. ჯერ კიდევ გუშინ, როცა ასეთი ცნობა მივიღეთ, მთავრობის თავმჯდომარემ გასცა ბრძანება, რომ ყველა ის პირები წინაალმდეგ რომელნიც, რაიმე ბოროტ-მოქმედებას ამ სამხედრო ტყვეების შეპყრობის დროს ჩაიდენენ, ყველა ეს პირები იქნენ მიცემულნი სამხედრო სასამართლოში და ისინი დაისჯებიან. (ვეშაპელი: უფრო ადრე ვიდრე ძიგვის ხიდის ამფეთქებელნი) ისინი დაისჯებიან ისე, როგორც მოითხოვს (ვეშაპელი: დემოკრატია) ამ საქმის მდგომარეობა. მე არ ვიცი მართლაც, წარმომადგენლები სომხის ეროვნულ საბჭოსი აქ პარლამენტში მართლაც არიან დარწმუნებულნი ამ ჟამად, რომ ის ბრძოლა, მავნე ელემენტებთან რომელსაც აწარმოებს მთავრობა, მიმართულია სომხის ერის წინაალმდეგ, თუ არა? მე მგონია, რომ მრავალი საბუთი მათ დაუმტკიცებს, რომ ბრძოლა მიმართულია არ ერის წინაალმდეგ, არამედ იმ ჯგუფის წინაალმდეგ, რომელმაც ორივე ერს თავს მოახვია ეს უსაშინელესი ომი და თუ მართლაც ამ ბრძოლის დროს, მავნე ელემენტების წინაალმდეგ ბრძოლის დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, დაბალი მოხელე მთავრობისა, ჩაიდენს რაიმე ბოროტ-მოქმედებას,—ეს წარმომადგენლების შეკითხვის ავტორს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ყველაფერი ეს შექმნილია სწორედ იმ ვერაგულ თავდასხმით, რომელსაც ვერც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც მართლაც დაინტერესებული არის ერთა შორის სოლიდარობის განმტკიცებით, რამდენიმე დღით ვერ წარმოიდგენდა. სწორედ ამ მუხანათურმა თავდასხმამ გამოიწვია აღშფოთება მთელი საქართველოს დემოკრატიისა, რითაც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია სარგებლობენ დაბალი მოხელეები თავის საქმის მოსაწყობათ, მაგრამ იმის მაგიერ, რომ პოლიტიკა შეკითხვის ავტორებისა მიმართული იყოს ამ პარტიის წინაალმდეგ, იმ ჯგუფის წინაალმდეგ, რომელმაც ეს ომი გამოიწვია, მე სწორედ შეუძლებლად მიმაჩნია შეუფერებლად დემოკრატიის ინტერესებისა, როგორც საქართველოსი აგრეთვე სომხეთისა, კითხვის გადაბრუნება და იქ მითითება ზოგიერთ უბრალო სამწუხარო შემთხვევაზე. მე ვამბობ თითო ოროლა შემთხვევა ბოროტ-მოქმედებისა ყოველთვის ყოფილა, მას მთავრობა ებრძვის, და თან სასტიკად. მაგრამ თუ კი მართლაც ჩვენ მოწადინებული ვართ, რომ რაც შეიძლება საჩქაროდ ბოლო მოუღოთ ამ გაუგებრობას, ამ უდიდეს დანაშაულს დემოკრატიის წინაშე, რომელსაც სჩადიან ერევნის მთავრობა და ის პარტიები, რომლებსაც ის ეყრდნობა, წარმომადგენლები საქართველოს ფარგლებში მობინადრე სომხებისა და ეროვნული საბჭო ვალდებულია, ჩვენთან ერთად, მთელი თავის ძალღონით გამოილაშქრონ ამ ავანტიურისტულ პოლიტიკის წინაალმდეგ, რომელსაც ერევანში აწარმოებდნენ. ზოგიერთი წრეები აქ მათ ეკედლებიან, და მხარში ამოუდგნენ მთავრობას, რომელიც ყოველნაირ ზომებს ხმარობს დაიცვას ყველა ერები, რომელნიც ჩვენ ტერიტორიაზე ბინადრობენ, და რომელნიც ამ ლოიალობას არ ღალატობენ, და აგრეთვე გაილაშქრებს მოღალატეების წინაალდეგ, რომელნიც ჩვენდა სამწუხაროდ ჩვენ ტერიტორიაზე იმყოფებიან და დემოკრატიის საქმეს ძირს უთხრიან. (ვაჩნაძე: ომი ბოლომდის).

(მქუხარე ტაში).

სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიორგაძის სიტყვა.

წარმოთქმული პარლამენტის 31 დეკემბრის სხდომაზე.

მოქალაქენო, თავიდანვე, ატყდა თუ არა ბრძოლა, იყო იმის ნიშნები, რომ ორი ძალა, რომელიც ერთი ერთმანეთს დაეტაკა, ძალა თავდასხმის და თავდაცვის, სამართლის და უსამართლობის,--რომ ეს სამართალი გაიმარჯვებდა.

სადახლოსთან მომხდარმა ბრძოლამ, ეკატერინენფელდმა და ახალქალაქმა ნათლად დაამტკიცა, ამ კერძო შეტაკებაში, რომ გამარჯვება უნდა დარჩეს, ამ შემთხვევაში, დემოკრატიულ ძალას.

და აი მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა შულავერთან. მოწინაღმდეგემ მთელი თავისი ძალღონე, მთელი თავისი რეგულიარული ჯარის ნაწილები შულავერში შემოიკრიბა. მან ესეც არ იკმარა და შეტაკების გზაზე, ომიანობის გზაზე თვით მცხოვრებნი დააყენა.

და აი ჩვენ გვაქვს განცხადება, რომელიც სომხის ჯარის შულავრის რაიონის უფროსმა განაცხადა, როცა ის შევიდა შულავერში. ის აცხადებს შემდეგს: „შულავრის მცხოვრებნო! რადაც უნდა დაგვიჯდეს შულავერი სომხეთის ფარგლებში უნდა დარჩეს! მოუწოდებ მცხოვრებლებს გამოვიდნენ კლდე დალიგდამასთან და უკუაქციონ ქართველთა შემოტევა. 27 დეკემბრისთვის ველი ქართველ პარლამენტერებს.

შულავრის ჯარის უფროსი კარალკოვი.

(ხმაურობა. ვაჩნაძე: ჯამალიანის მუშაობა).

მე ბატონებო, საპოლემიკოდ ამ კათედრაზე არ გამოვსულვარ! მინდა გაგაცნოთ როგორია სამხედრო მოქმედება. თუ ამის მოსმენა არ შეგიძლიათ, ჯდომა ამ სკამებზე ზედმეტია.

და აი მდგომარეობა ასეთი იყო შულავერში. თვით მცხოვრებლები ჩაითრიეს ამ ბრძოლაში და აქედან ადვილად მიხვდებით, როგორ სასტიკ წინაალმდეგობას გაუწევდა ჩვენს ჯარს მოტყუებით ავანტიურაში ჩათრეული შულავრელები ისე, როგორც რეგულიარული ჯარი. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მივიდოდნენ ჩვენი პარლამენტიორები და ჩვენ მათ წინაშე ქედს მოვიხრიდით.

რასაკვირველია, ჩვენ კარგად გვესმოდა, სამხედრო უწყებამ კარგად იცოდა, ჩვენს სარდლებს კარგად ესმოდათ, რომ აქ უნდა გადაწყვეტილიყო მთელი ბრძოლის ბედ იღბალი. და ჩვენ დავიწყეთ შულავერისგარეშეჩვენი ძალების შემოგროვება, ცალ-ცალკე შეტაკება. კერძოდ ეს შეტაკება დაიწყო 24-ს. ტყვიის მფრქვეველი, რამდენიმე ათეული თოფი და რამდენიმე ყუთი ყუმბარებით სავსე ოფიცერთა რაზმმა წაართვა მტერს. და კერძოდ შეტაკება, რომელიც 24 დაიწყო იმას ნიშნავს, რომ მტერი უნდა დამარცხდეს. 25 ჩვენი ძალების შემოკრება დავიწყეთ. 26 და 27 ჩვენ მზად ვიყავით თითქმის შესატევად. მაგრამ იმ დროს უამინდობამ ხელი შეგვიშალა. ნისლიანი დღე იყო და სამხედრო მოქმედის ფართედ გაშლა შეუძლებელი იყო. მაგრამ 21 მაინც ერთი ფრთის მომქმედი ძალები შეეცადნენ, რომ კერძო იერიშები მიეტანათ.

მარჯვენა ფრთამ, რომელიც ეირჭა სახალხო გვარდიის ნაწილს იერიშის დროს ჩამოართვა—წაართვა მოწინაალმდეგეს 2 ტყვიის მფრქვეველი და რამოდენიმე ტყვედ წამოიყვანეს.

მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლა დაიწყო 28, ეს იმ დროს, იმ მომენტს, როდესაც პარლამენტიორებს მოელოდნენ.

და აი დილით, მეორე დღეს, 29 მემარცხენე ფრთამ ჩვენი ჯარისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალი წულუკიძე, ის წულუკიძე, რომელსაც თავს დაესხნენ მაშინ მუხათანობით და რომელმაც შესძლო დახეულიყო და გამოეყვანა ჯარი მწყობრად და არა ისე, როგორც შულავერში—დამარცხების შემდეგ, სომხების ჯარი დაიბნა.

ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა შეუტია იმ ადგილს, სადაც სომხებს ზარბაზნები ჰქონდათ დადგმული და ნებას არ აძლევდნენ ჩვენს ქვეითა ჯარს მაღლობები დაეჭირა.

და აი, აქ მოხდა ხელჩართული ბრძოლა და ეს ადგილი ჩვენმა ჯარმა დაიჭირა და ორი ზარბაზანი წაართვა მთელი მისი მოწყობილობით და მთელი მისი იარაღით. ეს იყო ფრთა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შულავრის აღებაში.

ყველა ამის შემდეგ შულავრის ბედი გადაწყვეტილი იყო.

იმავე დილით მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გენ. მაზნიაშვილი და კვინიტაძე შულავერში დილის 10 საათზე შევიდნენ.

დამარცხება მტრისა შულავერში სასტიკი იყო, მტერმა ვერ მოახერხა მწყობრად დაეხია, ის მთლად დაიბნა და დაიფანტა და სრულად უხეიროდ დაფანტულად დაიმალა, ისე რომ ის ძალა, რომელიც მოწინააღმდეგეს მოკრებილი ჰქონდა შულავერში სრულიად განიავდა. ჩვენი ჯარი ფეხ და ფეხ დაედევნა და მეორე დილამდის ისე, რომ მათ არავითარი წინაალმდეგობა არ გაუწევიათ მან დაიჭირა: დმა, სადახლო და ლომბალო (გაუმარჯოს!).

და აი დღესაც ეს გამარჯვებული ჯარი, დღესაც წინ მიიწევს და ჩვენ არ გვაქვს ცნობები სად შეჩერდება და რა ადგილს მიაღწევს (კედია: ერევანში) და ამავე დროს 27 დაიწყო ბრძოლა მეორე ფრონტზე. მარჯვენა ფრონტზე, სადაც ჩვენი გვარდია მოქმედობს ბოლნის-ხაჩინის რაიონში და აი ამ დღეების განმავლობაში იქ სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. დღეს ეს ბრძოლა გაძლიერებული არის და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი გმირები, გვარდიელები შესძლებენ ეს გამაგრებული ადგილი დაიჭირონ.

აი მდგომარეობა ბატონებო ამ გვარია ე. ი. ჩვენ შევძელით, რომ ინიციატივა ხელში აგველო, უმთავრესი ბრძოლა მოგვეგო და ჩვენი მდგომარეობა ეხლა სრულიად დამაკმაყოფილებელია. (კედია—ჯერ კიდევ არა).

და მე მგონია, რომ თქვენ გაიზიარებთ, ყველა თქვენგანი გაიზიარებს იმ აზრს, რომ ჩვენ ერთგვარი სისხლი არ გვწყურია, რომ შურის ძიებით აღსავსენი არა ვართ და არც ვიქნებით. ჩვენ ასეთ პოლიტიკას, როგორც დაშნაკცაკანები აწარმოებენ, ჩვენ ვერ ვაწარმოებთ (ირ. წერეთელი მართალია. ტაში).

მართალია, ჩვენ ბრძოლისთვის მზადა ვართ და ჩვენი სამხედრო მოქმედება ისეთი სასტიკი იქნება, როგორც თავდამცველის მოქმედება, მაგრამ თუ კი გამოიძებნა ისეთი მშვიდობიანი გზა, რომელიც სრულიად დააკმაყოფილებს ჩვენს ინტერესებს ერთმხრივ და პატიოსნებას, მეორე მხრივ, იხსნის სომხის ხალხს იმ ავანტიურ-დან, სამწუხარო ავანტიურიდან, რომელშიაც დაშნაკელებმა ჩააგდეს, —რასაკვირველია, იმ გზას ჩვენ ვერ მივყვებით, მაგრამ ომს ვაწარმოებთ მთელი თავის სიგრძით და სიღრმავით და მთელი ჩვენი შეიარაღებული ძალებით. და ამაში ჩვენ მხარს

საქართველოს მთავრობისა სხდომა

დაგვიჭერს მთელი ძალები, მთელი ქართველი ერი. (კედია: მართალია! ბამბაკამდის) არა ეს არის ბატონებო, ერთი ჩვენი გამარჯვება, რეალური გამარჯვება, რომელიც ჯარმა, ხალხმა განიცადა.

მაგრამ, მოქალაქენო, ჩვენ მეორე გამარჯვება ვიგემეთ ამ გამარჯვების დროს. ეს გამარჯვება არის შემდეგი: როდესაც ასე მოულოდნელად, ეს სამხედრო მოქმედება ჩვენ თავს დაგვატყდა, როდესაც სამხედრო გალაშქრება მომზადებას ითხოვდა მთელი სახელმწიფოს ორგანიზმისას, მექანიზმის ამუშავებას, აქ არ იყო მარტო სამხედრო ორგანიზაციის ამუშავება, აქ იყო საჭირო მთელ სახელმწიფოს მექანიზმის ამუშავება.

და ჩვენი სამხედრო მდგომარეობა დღეს ისეთი არის, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სამხედრო მოქმედების დროს, როდესაც ჩვენმა სახელმწიფოებრივმა მექანიზმმა მუშაობა დაიწყო, მან დაამტკიცა, რომ მას შეუძლიან ისეთ მოულოდნელ გარემოებაშიც, როგორიც იყო მუხანათური შემოსევა, ამ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს და მექანიზმს შეუძლიან ასეთ მოვლენას ჯეროვანად შეხვდეს.

მთელი ჩვენი ორგანოები ფეხზე დადგნენ. ყველა ჩვენმა სამინისტროებმა უმწვერვალესი უნარი გამოიჩინეს და ჩვენ შევძელით მთელი ორგანოები, სახელმწიფო ორგანოები მოგვეწყო ისე, როგორც საჭიროა ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად. (მაჩაბელი: ეს საქართველოს ხალხის უნარია!).

ეს საუკეთესო ნიშანი არის იმისა, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივობა განმტკიცებულია, რომ ყველა სამინისტროების მდგომარეობა ისეთი არის, რომ მათ შეუძლიანთ არამც თუ ნორმალურ პირობებში, ყოველივე პირობებში, მოულოდნელ პირობებშიაც თავი დააღწიონ ცუდ პირობებს და ანგარიში გაუწიონ შექმნილ გარემოებას.

მესამე გამარჯვება, რომელიც ჩვენ ვიგემეთ,—ეს არის ის, რომ ჩინებულად ჩავატარეთ მობილიზაცია, რომ ჩვენმა გამოძახილმა ჰპოვა ხალხში დიდი გამოძახილი, დიდი თანაგრძნობა. მთელი ქართველი ერი ერთად ფეხზე დადგა და ქვეყნის დასაცავად გამოეშურა (ვაშა! ტაში).

აი დღეს, როდესაც ძველი წელიწადი თავდება და ხვალ ახალი იწყობა, ჩვენ აი ამ გამარჯვებით ვეგებებით ახალ წელს და მთელს ჩვენ საკანონმდებლო ორგანოს შეუძლიან საჩუქრად მიართვას აი ეს გამარჯვება, სამნაირი გამარჯვება, ყოველმხრივი გამარჯვება.

სამშობლოს დასაცავად

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილება.

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობამ თავის სასწრაფო სხდომაზე, 29 დეკემბერს ტფილისის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ბინაზე, რომელზედაც დაესწრენ ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ჟურული და მისი ამხანაგი ბ-ნი კანდელაკი და ტფილისში არსებულ ბანკების კომიტეტის პრეზიდიუმი, მოისმინა ყრილობის ბიუროს თავმჯდომარის, ვ. გოთუას მოხსენება და ცოტა ხნის თათბირის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს, ი. ლორთქიფანიძემ, თულაშვილმა, ტერ-ზახაროვმა, გალსტიანმა, ტყავაძემ, ბურჭულაძემ, გუნცაძემ, ქარუმიძემ და სხვ. ერთხმად დაადგინა:

1) ომში დაჭრილ და დაავადმყოფებულ მეომრებისათვის საკრედიტო დაწესებულებათა ხარჯზე ქ. ტფილისში ექვსი თვის ვადით დაარსდეს ერთი საავადმყოფო ასი საწოლით, რომელსაც დაერქვას: „საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა საავადმყოფო“.

2) სამხედრო უწყების ჩვენების თანახმად, იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, საკრედიტო დაწესებულებათვე ხარჯზე გაიხსნას ორი საექიმო საკვები პუნქტი, რომელთაც დაერქვას: „საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა საექიმო-საკვები პუნქტი“.

3) 1 და 2 მუხლში აღნიშნულ მიზნისათვის საკრედიტო დაწესებულებებმა უნდა გაიღონ ამ თავიანთვე გამგეობათა და საბჭოების დადგენილებით არა ნაკლებ 2.000.000 მანეთისა, ამ თანხის განაწილება უნდა მოხდეს, ტფილისში, ბანკების კომიტეტისა და ყრილობის ბიუროს შეერთებულ სხდომაზე, პროვინციებში კი ასეთივე განაწილება მიენდობა შესაფერ ორგანიზაციებს.

4) გამოითქვა სურვილი, რომ საკრედიტო დაწესებულებათა თანამშრომლებმა ერთდროულად გაიღონ არა ნაკლებ 30% თვიური ჯამაგირისა.

5) საკრედიტო დაწესებულებებში შემოწირულების შესაგროვებლათ კლიენტების, წევრების და აქციონერებთა შორის გაიმართოს ხელის მოწერა; ფული უნდა შეტანილ იქმნას ქ. ტფილისში: ამიერ-კავკასიის ბანკში და ან სასოფლო-სამეურნეო ბანკში, სადაც საკრედიტო დაწესებულებათა ყრილობის ბიუროს სახელზე გახსნილია სახელდახელო ანგარიშები.

მთავრობის მიერ 50.000.000 მანეთს მოკლევადიან 5% სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათა გამოცემის შესახებ გამართულ თათბირზე, ფინანსთა მინისტრმა ბ-ნმა ჟურულმა და მისმა ამხანაგმა, ბ-ნმა კანდელაკმა ვრცლად განუმარტეს დამსწრეთ ამ ვალდებულებათა გამოცემის ფინანსიური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

6) ყრილობამ ერთხმათ დაადგინა: ყოველმხრივ დაეხმაროს მთავრობას ამ ვალდებულებათა რეალიზაციის საქმეში და ეს ვალდებულებანი დაუბრკოლებლივ იქმნენ მიღებულნი დაწესებულებებში გასანაღდებლად.

7) ბიუროს წევრებად ერთხმად არჩეულ იქმნენ: გ. წინამძღვარიშვილი და მ. სულუხია და ტფილისის ბანკების კომიტეტის ერთი წარმომადგენელი, რომელიც დანიშნული იქნება თვით კომიტეტისაგან.

8) ვაჭრობა-მრეწველობის ნორმალურ წარმოებისათვის ყრილობა სურვილს გამოსთქვამს და უმორჩილესად სთხოვს ფინანსთა მინისტრს, რომ საკრედიტო დაწესებულებათ ნება მიეცესთ განაახლონ ჩვეულებრივი აქტიური ოპერაციები.

9) ყრილობას ეცნობა, რომ ბიუროს 25 დეკემბრის დადგენილების თანახმად მეომართა დამხმარე ქალთა კომიტეტის საკვები პუნქტის მოსაწყობათ მიეცა 25.000 მანეთი.

სამტრედიის გვარდიის შტაბის მიმართვა

უკვე ყველასათვის აშკარაა ის, რომ სინიდის დაკარგულ ავანტიურისტების წყალობით ჩვენი ნორჩი დემოკრატიული რესპუბლიკა ომის ალში გაეხვია.

მტერი ყოველ მხრივ ცდილობს ჩვენ ძვირფას საქართველოს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს; იქ, ბრძოლის ველზე წყდება ჩვენი სახელმწიფოს ყოფნა არყოფნის კითხვები, იქ ჩვენი თავდადებული მეომარნი ძლიერნი სულით, გმირული სახით იგერიებენ გამხეცებულ მტერს და მით სისხლით იცავენ ძვირფას სამშობლოს.

გვწამს, რომ დიდი იდეალებით გათვითცნობიერებული საქართველოს დემოკრატია ბრძოლის ველზე შეურყევლად იბრძოლებს, მაგრამ ეს შეურყევლობა, თავდადება და ბრძოლის სულის სიძლიერე მაშინ უფრო მეტია, როდესაც ბრძოლის ველის ყოველ მოძრაობას, მებრძოლთა მდგომარეობას აქ ზურგში მდგომი ფართო საზოგადოება ყოველ მხრივ უკავშირდება და თვალ-ყურს ადევნებს, და ეს უნდა იქნას, თუ გვინდა გააფთრებული მტრის წინაალმდეგ მთელი საქართველო მთლიანი შეერთებით წარსდგეს.

ამისათვის სამტრედიის გვარდიის შტაბი მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ შეძლების და მიხედვით დაეხმარონ ფრონტს, გაუგზავნონ მებრძოლთ საჩუქრები რა სახითაც იქნება ეს. ჩვენ გვწამს, რომ ყველაში ეს მოწოდება ფართო გამოძახილს მოიპოვებს და ვინც გამოიღებს ფრონტზე გასაგზავნათ რაიმეს, მათ ასეთი უნდა წარმოადგინონ შტაბში, სადაც შედგება სია და მერე გაიგზავნება ფრონტზე.

თავდაცვის ფონდი

საქართველოს მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ნივთით.

1. მიხეილ გრიგოლის ძე სესიაშვილისგან 50 ნახევარი ბოთლი კონიაკი. 2. თამარ მეფის სახელობის სემინარიის მოწაფეთაგან საჩუქრები ჯარის კაცთ 60 პარკი—ხმელი ხილი, ჩურჩხელა, წუმწუმა, შაქარი, პაპიროსი ჩაი, თამბაქო, გაზეთები და სხვა. 3. თამარ მეფის სახელობის ქალთა სემინარიის მოწაფისაგან ორი შპრიცი. 4. პირველ სავაჟო გიმნაზიის მოწაფეთაგან 14 პარკი: 1 შეკვრა წუმწუმა, 14 პაჩკა პაპიროსი და თამბაქო, 17 კოლოფი წუმწუმა, 5 ნაჭერი სარეცხის საპონი. 4 ნაჭერი პაპიროსის ქაღალდი. გრიშა და შალვა რატიანებისგან 4 წყვილი პარტიანკა, 10 გირვანქა ჩაი, 100 პაპიროსი, 12 ცალი თამბაქოს ქაღალდი, 19 წყვილი წინდა, 2 დუჟინი ხელის საპონი, 5 დუჟინი ფანქარი, 4 პაჩკა ფოშტის ქაღალდი, 3 ცალი კონვერტი, 4 კოლ. ლილი, 2 კ. დუგმა, 10 ცალი პირსახოცი. 5. ვაჟთა I გიმნაზიის მოწაფეთაგან: 1—98 კოლოფი წუმწუმა, 2—120 შეკვრა პაპიროსი, 3—ხუთი შეკვრა წუმწუმა, 4—5 ხის კოვზი, 5—სამი წყვილი წინდა, 6—სამი შეკვრა თამბაქო, 7—1 შეკვრა კალამი 8—30 ამოკერილი პარკი, 9—ნახევარი გირვანქა ჩაი, 10—2 პარკი შაქარი, 11—სამი პარკი ჩაი, 12—13 დიდი ნაჭერი საპონი, 13—13 პატარა ნაჭერი საპონი, 14—1-თი კოლოფი კონსერვი 15—1 კოლოფი ყავა, 16—1 ბოთლი ღვინო 17—1 შეკვრა: ქაღალდი, კონვერტი, ღია ბარათი და ოთხი ფანქარი. 6 ქალთა მეექვსე გიმნაზიისაგან; 30 პარკი სხვა და სხვა საჩუქარი. 7. ქალთა მეორე გიმნაზიისაგან: 8 შეკვრა პაპიროსი, 40 კოლოფი წუმწუმა, 7 ნაჭერი საპონი, 20 დიდი პარკი საჩუქრები, 2 გირვანქა ფქვილი, ქაღალდი, კონვერტი, კალმები და სხვა... 8. ქ. ხიზანიშვილისგან, 1 გირვანქა საპონი, 1 კოლოფი წუმწუმა 9. ქ. ბარბარე მაყაშვილისგან: 2 გირვანქა თუთუნი და 9 შეკვრა პაპიროსი. 9—ფ. ხ—საგან: ერთი შეკვრა წუმწუმის კოლოფი, შაქარი და ჩაი. 10—ქ. იოსავასაგან—1 შეკვრა წუმწუმის კოლოფი, 1 გირვანქა ყავა. 11—შოთა ლომაძისაგან: 1 მაკრატელი, 2 ჯაყვა-დანა, 6 ფანქარი, 12 ხის კოვზი, 2 მურგი მსხვილი კედი, 1 კონა წვრილი კედი, 9 კოლოფი ასანთი, 10 კეცი თეთრი საწერი ქაღალდი, 1 შეკვრა ფოსტის ქაღალდი, 100 ცალი კონვერტი 12. ქ. სულიკაშვილისაგან ერთი შეკვრა წუმწუმა, 5 კოლოფი პაპიროსი, ერთი შეკვრა მახორკა; 13—ხაშურის ქალაქის თვითმართველობასთან დაარსებულ „ფრონტის დამხმარე კომიტეტისაგან“—ყველი 26 გირვანქა, საპონი 10 გირ. ჩაი $2^{3}/_{4}$ გირ. პური 2 ფუთი და 5 გირვანქა, ძეხვი $25^{1}/_{2}$ გ. კონსერვი 5 ცალი, ყავა $1^{1}/_{2}$ გ. ქონი—1 გირ. თევზი 2 ცალი, ბრინჯი 6 გირვანქა, მჭადის ფქვილი 34 გირ. ხელის საპონი—3 ცალი, 2 ტილოს ტომარა. 14—ხაშურის რკინის გზის მილიციისაგან; ჩაი 4 გირ. სანთელი 44 ცალი, დაჭრილი თამბაქო 3 გირ. დაუჭრელი თამბაქო $^{1}/_{2}$ ფუთი, თბილი ფეხსაცმელი—2 წყვილი-კონვერტი და ქაღალდი 150 ც. ჩაბალახი 7 ცალი, საწყლე 2 ცალი, ბინტი 50 არშინი, ფუფაიკა 4 ცალი, საცვალი 8 ცალი, წუმწუმა 310 ცალი, თამბაქო I ხარისხის 33 შეკვრა, თამბაქო III ხარისხის 376 შეკვრა, პაპიროსი 88 შეკვრა, „მახორკა“ 15 შეკვრა, ხელის საპონი 3 ცალი, ჩაი 8 შეკვრა. 15. ნინო აბაიშვილისგან: პაპიროსი 6 შეკვრა, წუმწუმა 10 შეკვრა. 16. ვაჟთა მე II გიმნაზია: 82 პარკი. 17. ქალთა VII გიმნაზიისგან: 134 კოლოფი წუმწუმა, 16 შეკვრა თამბაქო. პაპიროსი, რამოდენიმე ცალი ქაღალდი და კონვერტი, საპონი 6 ნაჭერი, ფანქარი 14 ცალი, ჩურჩხელა 8 ცალი, კომპრესის ქაღალდის 6 ფურცელი, ძაფი 4 კოჭი და 6 ხვევა. ჩაი 12 შეკვრა, რამოდენიმე გირვანქა ჩირი, ნიგოზი, თხილი, ერთი ბოთლი ღვინო, ერთი ფაფახი, პერანგი ნარშისა, 30 შეკვრა თუთუნის ქაღალდი, 2 წყვილი თბილი ხელთათმანი, 1 წყვილი წინდა, ბამბა, მარლი და ლილები.

ანჩის ხატის ტაძარში.

სამშობლოს თავდაცვის ფონდისათვის 27 და 29 ამა დეკემბერს, ანჩის ხატის ტაძარში მლოცველთა შორის, შეგროვილ იქმნა ოცდასამი თუმანი და 77 კოპ. ამას ეკლესიის საშუალებათაგან ერთდროულად დაუმატეთ ათი თუმანი; სულ შესდგა 330 მან. და 77 კოპ., რასაც ამასთანავე გაახლებთ. ამავ მიზნისათვის ყოველ კვირა-უქმე დღეებზე გაგრძელდება შეწირულებათა შეგროვება და თან ტაძარიც გაიღებს მთელ თვისს ნივთიერ შეძლებას, თუ ეს საჭირო იქნება.

ანჩის ხატის ტაძრის წინამძღვარი, დეკ. ნ. თალაკვაძე.

საქართველოს მთავარ შტაბის ცნობა

1 იანვარი.

გუშინ, შუადღის 1 საათზე ორჯერმრავალრიცხოვან მტერთან შეუპოვარ ბრძოლის შემდეგ ჩვენმა ჯარმა დაიკავა სოფ. ბოლნის-ხაჩინი.

დამარცხებული მტერი ყოველ მხარეზე გაიფანტა.

გარდა ტყვეებისა ხელთ ვიგდეთ ოთხი ტყვიისმფრქვეველი, მრავალი ზარბაზნის ყუმბარა, ვაზნები და საზიდულები.

სამხედრო მოქმედების შეწყვეტა.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად 31 დეკემბერს, ჩვენი ჯარების სარდალმა ტელეგრამა გაგზავნა, რათა იმავე დღის 24 საათზედ ყოველივე საომარი მოქმედება და გაქცეული მტრის დევნა შეწყვეტილ იქმნას.

დროებითი ზავი

ტფილისი 2 იანვ. 1919 წ. საქართველოს რესპუბლიკის მთავარ შტაბის ცნობა.

გუშინ დროებითი ზავის დარღვევის შემთხვევები არ ყოფილა.

სააგენტოს დეპეშები

ოდესიდან სურსათის მიღება.

ფოთი, 1 იანვარი. (საკუთარ კორესპონდენტისაგან). ქალაქის სასურსათო განყოფილებამ მიიღო ოდესიდან რამოდენიმე ვაგონი პურის ფქვილი, იქიდანვე მოელიან ამ დღეებში რამოდენიმე ვაგონ პურის ფქვილს, შაქარს და სხვა სანოვაგეს.

სომეხი სამხედრო ტყვეების ჩამოსვლა გერმანიიდან.

ფოთი, 1 იანვარი. გერმანიიდან დაბრუნებული სომეხი—სამხედრო ტყვეები, რიცხვით 800 კაცი, რომელნიც ქალაქში ჩამოვიდნენ ქალაქმა არ მიიღო. სომხები გემითვე გამგზავრენ ბათუმში, სადაც დიდი დავიდარაბის შემდეგ მიუღიათ ინგლისელებს.

სახადიანებისთვის ბარაკის დაარსება.

ფოთი, 1 იავნარი (საკ. კორ.). ქალაქმა მოაწყო თავის ხარჯზე გადამდებ სენის ავათმყოფთათვის ბარაკი 25 საწოლით. საჭიროა ბარაკის გაფართოვება, ვინაიდან ავათმყოფებს ვერ იტევს. ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯარის კაცებში სახადით ავათმყოფი ძალიან ბევრია. ზომებს ღებულობენ.

ფოთი 1 იანვარი (საკუთ. კორ.) ამ დღეებში ჩამოვიდა რამდენიმე ფრანგი კომერსანტი. მოსალოდნელია საქონლის დიდი ტრანსპორტები.

მოკავშირეთა ჯარი რუსეთში.

ფოთი, 1 იანვარი (საკუთ. კორესპ.). ნოვოროსიისკიდან ჩამოსულნი იუწყებიან, რომ იქ მოკავშირეთ ჩამოუტანიათ სამხედრო მასალის პირველი პარტია და სხვათა შორის ტანკები და „შუქებიც“. „შუქების“ ხმარებას ჯერ ერიდებიან, რომ მშვიდობიანი მცხოვრებნი არ დაზარალონ.

მოკავშირეთა პოზიცია ყუბანის რადასა და დენიკინის შტაბთან იმყოფება და მერყეობისა და გამორკვევის ხანაში არის. ნიშნებია, რომ მოკავშირენი ყუბანის რადას მიემხრობიან, რომელიც ხალხის დიდ უმრავლესობას ეყრდნობა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: მოკავშირენი უცდიან, რომელი მიმართულება გაიმარჯვებს უკრაინაში, რესპუბლიკანური, თუ მოხალისეთა ჯარის. მოკავშირეების პეტლიურასთან დამოკიდებულობას აქვს დაცდის ხასიათი. თუ პეტლიურას ჯარში ბოლშევიზმმა იფეთქა, მოკავშირენი გამოვლენ პეტლიურას წინაალმდეგ, თუ არა და ნეიტრალიტეტს დაიცავენ საბოლოოთ უკრაინის შინაურ ბრძოლაში.

ინგლისური გემების მოსვლა.

ფოთი, 1 იანვარი (საკ. კორ.). ნავთ სადგურში სდგას ინგლისელების ტრალერი და ნაღმოსანი „ფორერტი“. ხვალ გავა გემი გერმანიის ჯარის უკანასკნელი ეშელონით.

სტამბის გამგის წინასწარ თადარიგის დაუჭერლობის გამო დღეს სტენოგრაფიულ ანგარიშების მორიგი ფურცელი არ გამოსულა.

მთავრობაში

ჯამაგირების მომატება.

მთავრობამ დაადგინა: 1) მოემატოს ჯამაგირი: სამოსამართლო პალატის უფროს თავმჯდომარეს, დეპარტამენტის თავმჯდომარეს, პალატის წევრებს, პალატის პროკურორს და მის ამხანაგს, აგრეთვე ტფილისის და ქუთაისის ოლქის სასამართლოების თავმჯდომარეებს, მათ ამხანაგებს, სასამართლოს წევრებს, პროკურორებს და მათ ამხანაგებს, უფროს ნოტარიუსებს—თანახმათ იუსტიციის მინისტრის მოხსენებისა; 2) რაიცა შეეხება როგორც სასამართლო პალატის ისე ოლქის სასამართლოების დანარჩენ მოსამსახურეებს, მათ ჯამაგირები გაუდიდდეს თანახმათ საუწყებათაშორისო კომისიის დასკვნისა; 3) ამ გვარათ შესწორებული მოხსენება იუსტიციის მინისტრისა წარედგინოს პარლამენტს კანონ-პროექტის სახით.

ქართული დრამატიული სტუდია.

მთავრობის დადგენილებით ქართული დრამატიული სტუდიის თხოვნა სავსებით დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს და მიეცეს მომარაგების კომიტეტისაგან ზოგიერთი ნივთები, რომელიც სცენისათვისაა საჭირო.

დახმარება.

გაეხსნას გზათა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან 2.400 მან. კრედიტი მ. ა. შჩუკინის ქვრივისათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენათ.

გაეხსნას გზათა მინისტრს ათ მილიონიან ფონდიდან შესაფერი კრედიტი დაღუპული ინჟინერების პოპესა და აბაშიძის ოჯახთათვის ერთდროული დახმარების აღმოსაჩენათ: ინჟ. პოპეს ოჯახს 8.900 მ. აბაშიძისას—7.500 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული ჩაეთვალოთ მათ, თუ პენსიის კანონის გამოსვლის შემდეგ დაენიშნებათ პენსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნებული ქართველი ტყვეები

29 დეკემბერს ავსტრია-გერმანიიდან ჩამოვიდა 300 ქართველი ტყვე-ჯარის კაცი. ოდესაში თავმოყრილია ამ ჟამად 2000 ქართველი სამხედრო ტყვე, რომელთაც არავითარი საშუალება არ მოეპოვებათ სამშობლოში გასამგზავრებლად. ბევრი ტყვეებია თავმოყრილი აგრეთვე სევასტოპოლში, ნოვოროსიიში და სხვაგან, საიდანაც მათ არ უშვებენ სამშობლოში მოხალისეთა ჯარები. ტყვეები მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. სიმშილისა და სიცივის გამო ბევრი მათგანი ძარცვა-გლეჯას მიმართავს. ჩამოსულთა გადმოცემით თუ დროზე დახმარებას არ აღმოუჩენენ მათ განადგურება მოელის.

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე.

სხდომა დაიწყო დილის 11 ს. 40 წ.

ზოგიერთი დაკითხული მოწმეები გამოწვეულ არიან. მომჩივნები და დამცველები ზოგიერთ მოწმეების ხელახლა დაკითხვაზე უარს აცხადებენ.

პ. ქავთარაძე. ითხოვს გამოწვეულ იქმნას 3 დამატებითი მოწმე: ჩალხუშიანის პარტიულ მრწამსის დასამტკიცებლათ. დამცველი შუამდგომლობს გამოწვეულ იქმნას მოწმეთ დავითხანიანი. სასამართლო აკმაყოფილებს ორივე მხარის შუამდგომლობას.

ხელ-ახლად გამოიწვიეს მოწმე ყურულაშვილი.

პ. ქავთარაძე. თქვენ გუშინ სთქვით, რომ კიუჩარიანცი ხშირათ დადიოდა თქვენს სახელოსნოში, და პატრონტაშებს გაკეთებინებდათ. რათ უნდოდა ამდენი პატრონტაშები?

ყურულაშვილი. ეს იმ დროს იყო, როცა აქ სომხის ჯარები იყო. მას მოჰყავდა ნაცნობი აფიცრები და ჯარისკაცები.

პ. ქავთარაძე. რატომ მაინც და მაინც კიუჩარიანცი დადიოდა თქვენთან და მოჰყავდა ჯარის კაცები და აფიცრები?

ყურულაშვილი. ის იყო მანთაშევის ქარვასლის უფროსი, იარაღების და სხვა საწყობების ზედამხედველი.

პ. ქავთარაძე. მოიგონეთ თქვენ, როცა კიუჩარიანცი შეგხვდათ თქვენ ერევნის მოიდანზე პირველათ—რა გითხრათ?

ყურულაშვილი. ჯერ მითხრა: შენ ჩემთან წამოდი მცხეთა—დიღომში. გზაც იცი და ქართულიც კარგათ იციო.

მე ვკითხე: რატომ მეთქი? მან მითხრა სურსათის სასყიდლათ მივდივარო.

თავმჯდომარე. თქვენ, კიუჩერიანცო, კატეგორიულათ აცხადებთ, რომ სურსათის სასყიდლათ მიდიოდით?

კიუჩარიანცი. მე თუ იაფათ ვიშოვიდი ვიყიდდი, თუ არა და გავისეირნებდი.

თავმჯდომარე. 120 მანეთი აღმოგაჩნდათ. ასეთი პატარა თანხით რა უნდა გეყიდნათ?

ბრალდებ. კიუჩარიანცი. მე 350 მ. მქონდა, მაგრამ ჩხრეკის დროს წამართვეს.

თავმჯდომარე. ვინ წაგართვა?

კიუჩარიანცი. რამდენჯერმე გამჩხრიკეს და არ ვიცი ვინ წამართვა.

ს. ჯიბლაძე. როდის გაემგზავრეთ ტფილისიდან და რა დროს?

კიუჩარიანცი. მე წავედი საღამოთი.

ჯიბლაძე. სად მიხველით პირველათ?

კიუჩარიანცი. მცხეთაში მივედ.

ს. ჯიბლაძე. მცხეთაში თუ სადგურზე?

კიუჩარიანცი. ჯერ სადგურში შემდეგ მონასტრისკენ წავედი და სოფელში შევედი სურსათის საყიდლათ.

ჯიბლაძე. რომელ სოფელში შეხვედით?

კიუჩარიანცი. არ ვიცი.

ჯიბლაძე. სურსათის საყიდლათ მიდიოდი და რომელ სოფელში შეხვედით არ იცით?

კიუჩარიანცი. არ ვიცი, მე ვმოგზაურობდი. რა გინდათ არ ვიცი, თუ სხვებს შეუძლიათ მოგზაურობა მთელ დედამიწის ზურგზე, რატომ მე მცხეთაში არ შემეძლო მოგზაურობა?

შმაგაილოვი ავათ არის. სასამართლო აცხადებს, რომ ციხის ექიმი იწერება: შმაგაილოვი ავათ არის, ფეხით წასვლა არ შეუძლიან, თუ ფაიტონით ან ავტომობილით გადმოყვანილ არ იქმნაო. სასამართლოს მიერ გამოწვეულმა ექიმმა შეამოწმა და განაცხადა, რომ ბევრი არაფერი არ დაუშავდება ავათმყოფს, მხოლოთ შეიძლება ცივ ბინაზე ყოფნით ავათმყოფობა გაურთულდესო. სასამართლო ადგენს პროცესი გაგრძელდეს, ხოლო თუ ცუდათ შეიქმნა ბრალდებული, ექიმები იქმნან მოწვეულნი შესამოწმებლათ.

მოწმე ტერმინასოვი (ექიმი). აცხადებს, რომ იგი 14 წელიწადია რაც ჩალხუშიანს იცნობს.

პ. ქავთარაძე. მისი პოლიტიკური რწმენის შესახებ რას იტყვით?

ტერმინასოვი. სტუდენტობის დროს მას დაშნაკცაკანს უძახდენ, რაზედაც ჩალხუშიანი ძლიერ ჯავრდებოდა. ისე, უკანასკნელ ხანებში, მის სახლში დავდიოდი ცოლის საექიმოთ, მაგრამ პარტიული შეხლა-შემოხლა არ ყოფილა და არ ვიცი რომელ პარტიას ეკუთვნის.

ბრალმდებელი კანდელაკი. წინასწარ გამოძიების დროს თქვენ სთქვით, რომ ჩალხუშიანი დაშნაკცაკანიაო. აქ მოწმე დაბნეულ პასუხს იძლევა და ცდილობს როგორმე წინანდელს და ეხლანდელს ჩვენებას შორის ძაფი გააბას, მაგრამ ვერ ახერხებს და ამბობს: მე მგონია დაშნაკელებს უნდა თანაუგრძნობდესო.

ავეტისიანი (კიუჩარიანცის მოწმე) კიუჩარიანცი ერთ-ერთი წევრი იყო მანთაშევის ქარვასლის „ოხრანის". ის განაგებდა იმ იარაღებსაც, რომლის საწყობი იყო მანთაშევის ქარვასლაში. საერთოდ, ჩვენ მას განსაკუთრებულ დავალებებს არ ვაძლევდით, რადგანაც არ იყო შესაფერი ჭკუის პატრონი კაცი.

თავმჯდომარე. როგორი იყო კიუჩერიანცის პარტიული მრწამსი?

ავეტისიანი. რამდენათაც მე ვიცი, ის თანაუგრძნობდა დაშნაკციუტუნის პარტიას.

თავმჯდომარე. თქვენ იცნობდით რუბენ ჩალხუშიანს?

ავეტისიანი. საერთოდ ჩალხუშიანის გვარეულობას მე კარგად ვიცნობ, როცა პეტროგრადში სომხის საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლას შევუდექი, ჩემი ყურადღება მიიპყრო დონის-როსტოვის რაიონში მცხოვრებ ჩალხუშიანებმა, როგორც კლერიკალურ ბურჟუაზიულ ჯგუფებმა, რომლებსაც არაფერი საერთო არა აქვთ რევოლუციონერებთან, რუბენ ჩალხუშიანს კი ისე ვიცნობდი.

თავმჯდომარე. რუბენ ჩალხუშიანი ეკუთვნოდა თუ არა დაშნაკცუთუნის პარტიას?

ავეტისიანი. მე თითონ დაშნაკცუთუნის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ვარ და შემიძლიან ვსთქვა, რომ რუბენ ჩალხუშიანი ჩვენ პარტიას არ ეკუთვნის.

თავმჯდომარე. რას ისახავს მიზნათ დაშნაკცუთუნის პარტია?

ავეტისიანი. მე ამაზე ცოტა უხერხულად მიმაჩნია პასუხის გაცემა, რადგანაც ეს ყველამ იცით. ჩვენი პარტიის პოლიტიკური მიზანი ამიერ-კავკასიის ფედერატიულ ნიადაგზე მოწყობაა, ოსმალეთის საზღვრებში კი სომხებისთვის ავტონომიის მიცემა. სოციალიზმის სფეროში კი იმასვე ისახავს, რასაც ყველა სოციალისტური პარტიები.

თავმჯდომარე. ასეთივე პროგრამა აქვს სამოქმედოთ ოსმალეთში სომხის დაშნაკცუთუნის პარტიას?

ავეტისიანი. დიახ.

თავმჯდომარე. ჩალხუშიანი თქვენ პოლიტიკურ საკითხებში არ გეთანხმებოდათ?

ავეტისიანი. ჩალხუშიანი იყო რუსეთის ორიენტაციის. ისე კი უფრო მე მას მივაკუთნებდი კადეტების პარტიას.

თავმჯდომარე. სად ხვდებოდით თქვენ ჩალხუშიანს?

ავეტისიანი. „ჩაშკა ჩაიში".

თავმჯდომარე. ვის მიერ არის გახსნილი ეს საჩაიე.

ავეტისიანი. დაშნაკცუთუნის ბიუროს მიერაა გახსნილი.

პ. ქავთარაძე. თქვენ სთქვით, რომ მე ვარ დაშნაკცუთუნის ცენტრალური კომიტეტის წევრი და ვიცი, რომ ჩალხუშიანი ჩვენს პარტიას არ ეკუთვნისო. განა შეგიძლიანთ იცოდეთ ყველა თქვენი პარტიის წევრები?

ავეტისიანი. ცალ-ცალკე ორგანიზაციებში იციან, ხოლო მე კი ყველას არ ვიცნობ.

მოწმე მატინოვი ამბობს, რომ ჩალხუშიანს ერთი წელიწადია ვიცნობო. საჩაიეში შემხვდა სამი-ოთხი დღით ხიდის აფეთქების წინეთ და მთხოვა წიგნი, სადაც სწერია, თუ როგორ უნდა საერთოდ აფეთქებაო.

თავმჯდომარე. თქვენ იცით თუ არა პოლიტიკური მრწამსი ჩალხუშიანისა?

მატინოვი. დანამდვილებით არ ვიცი.

სასამართლო აქვეყნებს წინასწარ გამოძიებაზე მატინოვის მიერ მიცემულ ჩვენებას, სადაც ნათლად სწერია, რომ მატინოვს უთქვამს ჩალხუშიანი დაშნაკცაკანიაო.

ეს მოწმეც უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა.

მოწმე ცხიტიშვილი (რკინის გზის მოსამსახურე) ციფრებით ხელში ამტკიცებს, რომ ხიდის აფეთქებამ რკინის გზას ზარალი დაახლოვებით 499,854 მან. მისცა.

გეგიძე (რკინის გზის განყოფილების უფროსი) ამტკიცებს, რომ ტეხნიკური საჭიროებისათვის ხიდის შესაკეთებლად დაიხარჯა 87 ათასი მანეთი.

დასასრულ დაჰკითხეს ექსპერტ პოლკოვნიკ ქლენტს. მან დაწვრილებით ახსნა, თუ რისთვის იყო საჭირო ესა თუ ის ნივთი, რომელიც დამნაშავეებს მიუტანიათ ხიდის ასაფეთქებლად.

ბრალმდებელი. რაში ესაჭიროებოდა სანთელი?

ქლენტი. სანთელს წაუცხებდნენ ფიტილს, რათა ნოტიოს არ გაეფუჭებიაო.

ბრალმდებელი. იყო თუ არა ამ საქმისთვის ლუქი საჭირო?

ქლენტი. არ იყო საჭირო.

ბრალმდებელი. აფეთქებას მიზნისთვის მიუღწევია თუ არა?

ქლენტი. არა. ამფეთქებლების მიზანი ყოფილა ხიდის სავსებით გაფუჭება.

ბრალმდებელი. რამდენჯერ უნდა აფეთქებულიყო, რომ დანარჩენ დინამიტსაც ემოქმედა?

ქლენტი. მგონი ორჯელ.

ბრალმდებელი. შეიძლება თუ არა კაცმა, რომელიც აფეთქებს გაიკაწროს ხელები და ფეხები?

ქლენტი. შეიძლება. ეს დამოკიდებულია პიროვნებაზე.

ბრალმდებელი. როგორ ეტყობათ ასაფეთქებელი მასალები დამზადებული მიუტანიათ თუ იქ დაუმზადებიათ?

ქლენტი. ყველაფერი ამტკიცებს, რომ წინასწარ გამზადებული ჰქონიათ ასაფეთქებელი მასალები.

ბრალმდებელი. შესაფერი ცოდნა ჰქონია თუ არა ამ საქმის დამზაშავეს?

ქლენტი. თეორიულად კარგად ყოფილა მომზადებული, ხოლო პრაქტიკული გამოცდილება არა ჰქონია.

ბრალმდებელი. რამდენი კაცი უნდა ყოფილიყო?

ქლენტი. სჩანს, რომ 4 კაცი ყოფილა.

ამ ჩვენებით დამთავრდა სასამართლოს სხდომა მეორე დღემდის.

განცხადებები

სასადილო საზოგადოება „იმედი"-სა

ქალთა წრემ განაახლა მუშაობა სასადილო „იმედისა". ყოველ დღე მზადდება გემრიელი სადილები 1 საათიდან—5 საათამდის. მოწვეულია საუკეთესო მზარეული. ფასები დაკლებულია. სასადილო იმყოფება ძველ სემინარიის შენობაში. 1173 12—11

ექიმი ი. პ. აზაპელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აჰკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$— 6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

მედიცინის დოქტორის

გ. მერაბოვისა.

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა), მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიზი), კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

70—5 საწყლებს უფასოდ. 624

ვასილი ივანეს ძე შარაპოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს.
1230. 3—3

არტემ დიმიტრის ძე ბიბილაური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა, რაც გაბათილებულად უნდა ჩაითვალოს. 1235. 3—3

გიგო (გიორგი) სოფრომის ძე თუთბერიძე აცხადებს, რომ 29 დეკემბერს ტფილისის სადგურზე ბაქოში მიმავალ მატარებლიდან ფულთან ერთად წაართვეს მას სხვა საჭირო დოკუმენტები, რომელთა შორის არის აგრეთვე ტფილისის რკინის გზის სამმართველოდან მოცემული მის სახელზე იარაღის ტარების სათანადო მოწმობა. 1236. 3—3

ექიმი პეტრე ივანეს ძე ტალინოვსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ქორწინების მოწმობა, მიღებული ტფილისის ქალაქის გამგეობიდან 1917 წ. მოწმობა გაუქმებულად ითვლება. 1212 3—3

ფილიპე ზურაბის ძე დავლენიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა ჯარიდან განთავისუფლებისა, მიღებული 1901 წელს, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1219 3-3

გიორგი მიხეილის ძე ბერაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების ბილეთი, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს.
1241 3—3

ნინა შილაკაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შაქრის ბარათი მე-11 კომისარიატის სასურსათო ნაწილიდან. 141042, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
1239. 3—3

იადვიგა ანტონის ასული სოკოლოვსკაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მოცემული ვარშავის ქალაქის თვითმართველობიდან, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 1237. 3—3

ივანე ვლადიმერის ძე ესეიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მოწმობა მე-6 არმიის საავტომობილო ერთეულის უფროსისგან სამხედრო მოხელეთ წარდგენის და უფროს მექანიკოსისა, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1233. 3—3

მელიტონ პატარაია აცხადებს, რომ მან დაჰკარგა საფულე, რომელშიაც იყო შემდეგი საჭირო საბუთები: 1) უვადო პასპორტი, 2) რკინის გზის ბილეთი სურათით, 3) რევოლვერის ტარების მოწმობა № 109, 4) ახალი ბაზრის წევრობის მოწმობა და 5) ტფ. ქალაქის თვითმართველობიდან მიცემული მოწმობა 180 მანეთისა. ამ ქაღალდებთან საფულეში იყო ფულიც სულ 75 მანეთი. მპოვნელს სთხოვენ ფული დაიტოვოს, მხოლოდ მისთვის გამოუსადეგარი საბუთები კი დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: აქ. ვაგზლის ახალ ბაზარში, ბუტკა № 41, მელიტონ პატარაიას. 1226. 3—3

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლო 1918 წლის 18 დეკემბრის დადგენილებით სამხედრო სასამართლოს წესდების მე-951 მუხლის ძალით ეძებს სოფელ შაშიანის, თელავის მაზრის მცხოვრებს ყოფილ 6 სამხედრო ტრანსპორტის მე-4 კავკასიის საბარგო ბათალიონის ჯარის კაცს ვასო შალაშვილს, რომელსაც ბრალი ედება 11 ნაწ. 122 და ლიტ. ბ. 105 მუხ. XXII წიგ. ს. დ. კ. 1869 წ. მე-4 გამოცემის ძალით. ყველა, ვინც იცის სად იმყოფება შალაშვილი, ვალდებულია განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქ. ტფილისში (ოლღას ქუჩა, № 48). 1284. 3—3

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სასამართლო 1918 წლის 11 დეკემბრის დადგანილებით თანახმად სამხედრო სასამართლოს წესდების მე-951 მუხ. ეძებს ყოფილ მე-77 ტენგინის ქვეითა პოლკის ჯარისკაცებს გორის მაზრის, ხელთუბნის საზოგადოების მცხოვრებს გიორგი ივანეს ძე ტუსიშვილს და იმავე მაზრის სოფელ მეჯვრისხევის მცხოვრებს გიორგი პავლეს ძე ფიდიაურს, რომელთაც ბრალი ედებათ 163^1, 128, I ნაწ. 131 და 138 მ. მ. XXII წიგ. ს. დ. კ. 1869 წ. გამოცემა მეოთხე და სისხლის და გამასწორებელ სასჯელთა დებულების მე-13 მ. ძალით და ტუსიშვილს კიდევ 190, 2 ნაწ. 97 მუხ. იმავე მე-XXII წიგ. ძალით. ნიშნები შემდეგია: ტუსიშვილის: შუათანა ტანის, შავი თმიანი და მარჯვენა ხელში დაჭრილია. ფიდიაური—შუა ტანის, შავ თმიანია და სწორე ცხვირი აქვს. ყველამ, ვინც იცის სად იმყოფებიან ტუსიშვილი და ფიდიაური ვალდებული არის განუცხადოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს, რომელიც იმყოფება ქალაქ ტფილისში (ოლღას ქუჩა № 48). 1285. 3—2